ეკა აკობია,
ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი

2-6 ნოემბერს, კავკასიის უნივერსიტეტის დელეგაცია სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანის, პროფესორი ეკა აკობიასა და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული ასოცირებული პროფესორის, ნანა შარიქაძის მონაწილეობით Erasmus+ აკადემიური მობილობის ფარგლებში ლუნდის უნივერსიტეტს ეწვივნენ.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და შვედეთის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალის მონაწილეობით გაიმართა საჯარო ლექციები, აკადემიური დისკუსიები და გამოცდილების გაზიარება ევროპული ინტეგრაციის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების საკითხებზე.

აკადემიური პროგრამის ფარგლებში ეკა აკობიამ ევროპული კვლევების სამაგისტრო პროგრამის (MAPES) სტუდენტებისთვის წაიკითხა ლექცია თემაზე „ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან თავსებადობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: უკრაინა, მოლდოვა და საქართველო“ (CFSP Alignment in the Eastern Partnership: Ukraine, Moldova and Georgia). ლექციაზე განხილული იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ქვეყნის ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან (CFSP) თავსებადობის საკითხები, მათი განსხვავებული ტრაექტორიები და პოლიტიკური მნიშვნელობა ევროპული ინტეგრაციის პროცესში. ხაზი გაესვა გამოვლენილი ემპირიული ტენდენციების მიზეზშედეგობრივი კავშირების დასადგენად შემდგომი კვლევის საჭიროებას.

პროფესორმა ეკა აკობიამ ასევე მონაწილეობა მიიღო სემინარში „Reflections on a Fading European Dream in Georgia“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებების აკადემიურ პერსონალთან ერთად. დისკუსია შეეხო საქართველოში დემოკრატიის უკუსვლას, ევროკავშირთან ურთიერთობების ცვლილებას და იმ შიდაპოლიტიკურ თუ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივებზე.

აკადემიური მობილობის პროგრამა ასევე მოიცავდა მონაწილეობას EU Days Lund 2026-ში, რაც ევროპული პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე დისკუსიებსა და ფართო აკადემიურ საზოგადოებასთან გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას იძლეოდა.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ლუნდის უნივერსიტეტის ევროპული კვლევების მიმართულების უფროს ლექტორთან, ანამარია დუტკეაც სეგესტენთან სადაც განხილული იყო სამომავლო აკადემიური თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ვიზიტი იყო შესანიშნავი შესაძლებლობა საერთაშორისო აკადემიური დიალოგის გაღრმავებისთვის, კვლევითი გამოცდილების გაზიარებისა და კავკასიის უნივერსიტეტსა და ლუნდის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის.